



სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა
ფასების ინდექსი საქართველოში

2018
მარტი

20.04.2018

www.geostat.ge

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2018 წლის მარტი

2018 წლის მარტში წინა თვესთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი შემცირდა 0,9 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი 6,5 პროცენტით გაიზარდა.

2018 წლის მარტში წინა თვესთან შედარებით ფასები დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე 0,9 პროცენტით შემცირდა და შესაბამისმა წვლილმა ინდექსის პროცენტული ცვლილების საერთო მაჩვენებელში -0,71 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების კლება დაფიქსირდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (-1,1 პროცენტი), ასევე ქიმიურ ნივთიერებებზე, ქიმიურ პროდუქტებზე და ქიმიურ ბოჭკოებზე (-3,8 პროცენტი).

ფასები შემცირდა სამთომომპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე (-1,7 პროცენტი), აგრეთვე ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და ცხელი წყლის ჯგუფზე (-0,7 პროცენტი).

12 თვიან პერიოდში ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

- **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 5,5 პროცენტით, რაც მთლიანი ინდექსის ზრდაზე 4,48 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების ზრდა დაფიქსირდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (5,3 პროცენტი), ასევე ძირითად ლითონებზე და ლითონის მზა ნაწარმზე (11,8 პროცენტი);

- **ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი:** ფასები გაზრდილია 12,1 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაში 1,67 პროცენტული პუნქტი შეიტანა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.


სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2018 წლის მარტი


კოდი	ჯგუფები	2018 წლის თებერვალთან	წვლილი ¹ თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2017 წლის მარტთან	წვლილი ¹ წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	99.1	-0.92	106.5	6.55
C	სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია	98.3	-0.11	109.5	0.40
CA	ქვანახშირი და ლიგნიტი; ტორფი; ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი; ურანი და თორიუმი	100.5	0.00	122.0	0.14
CB	ლითონის მადნები და სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქცია	98.0	-0.12	108.0	0.25
D	დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია	99.1	-0.71	105.5	4.48
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	98.9	-0.40	105.3	2.00
DB	ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი	97.9	-0.04	96.2	-0.08
DC	ტყავი და ნაწარმი ტყავისაგან	99.5	0.00	99.2	0.00
DD	მერქანი და მერქნის ნაწარმი	99.2	-0.02	106.0	-0.13
DE	ცელულოზა, ქაღალდი და ქაღალდის ნაწარმი; ინფორმაციის მატარებლები; პოლიგრაფიული მომსახურება	99.8	-0.01	97.0	-0.11
DF	კოქსი, ნავთობის გადამუშავების პროდუქტები და ბირთვული სათბობი	104.0	0.03	113.0	0.05
DG	ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები	96.2	-0.18	103.7	0.33
DH	რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი	100.6	0.02	103.5	0.09
DI	სხვა არალითონის მინერალური ნაწარმი	99.9	-0.02	103.7	0.38
DJ	ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი	99.2	-0.08	111.8	1.72
DK	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	99.3	0.00	96.7	-0.02
DL	ელექტრული და ოპტიკური მოწყობილობები	100.0	0.00	118.0	0.14
DM	სატრანსპორტო მოწყობილობები	100.0	0.00	106.0	0.05
DN	სხვა სამრეწველო საქონელი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	100.2	0.00	102.9	0.05
E	ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი	99.3	-0.10	112.1	1.67

¹რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მილიან მაჩვენებელს.


სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი
(წინა თვე = 100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი
(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი
(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
 ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
 ფაქსი: (+995 32) 236 72 13
 ელ.ფოსტა: gtetrauli@geostat.ge